საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 278

2019 წ. "24" 12

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ თუ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

თავმჯდომარე

მდივანი

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 15 აგვისტოს შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №03-8526 (ცენტრში რეგისტრაციის №1056766, 2019 წლის 15 აგვისტო,) სააკრედიტაციო განაცხადი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 19 სექტემბრის №861 ბრძანების საფუძველზე, შპს - საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 29 ოქტომბრის №1032 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 04 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 17 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

თავმჯდომარე

მდივანი

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 24 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - საქართველოს უნივერსიტეტის 2019 წლის 15 აგვისტოს №1056766 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №72 სხდომის ოქმის №06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) შემუშავდეს კვლევის მოდულისათვის მეტად ინტეგრირებული სწავლის შედეგები. გათვალისწინებულ იქნეს სწავლის შედეგები კვლევასთან დაკავშირებული მოდულებიდან: მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა; ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა. სწავლის შედეგები დაემატოს თვისებრივ კვლევის მეთოდებს, ადამიანთა ურთიერთობებსა და კომუნიკაციას;

ბ) რეკომენდირებულია მეტი ყურადღება დაეთმოს და უფრო მეტი დრო გამოიყოს კვლევის მეთოდებისათვის, მათ შორის უფრო რთული სტატისტიკური მეთოდებისთვის. უფრო მჭიდრო კავშირები დამყარდეს (პროგრამის კომიტეტთან ჩართვით) სოციალურ პარტნიორებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა შპს - საქართველოს უნივერსიტეტმა შეძლოს შრომის ბაზრის საჭიროებების უკეთესად შეფასება. განახლდეს მოდულების სილაბუსები, ლექციების და სემინარების გარდა ინდივიდუალური კონსულტაციების დროის შესახებ ინფორმაციის დამატებით. შემუშავდეს კვლევის მოდულისათვის უფრო დეტალური სწავლის შედეგები, ნუსხაში მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვიდან, ეპიდემიოლოგიიდან და ბიოსტატისტიკიდან საკითხების ინტეგრირებით. უზრუნველყოფილ იქნეს სწავლება თვისებრივ მეთოდებზე და სწავლის შედეგები დაემატოს კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და პედაგოგიკის ფსიქოლოგიას, არჩევითი კურსების მიწოდებით ან არსებული მოდულების განახლებით;

გ) რეკომენდირებულია სადოქტორო დისერტაციის კრიტერიუმების დაზუსტება სტატიების (რეფერატების) ხასიათისა და შესავალი თავის მოცულობის თვალსაზრისით;

დ) გაიზარდოს ელექტრონული სისტემების ეფექტიანობა და დოქტორანტების მიერ მისი გამოყენება.

თავმჯდომარე

მდივანი

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე - 2020 წლის 16 ივლისამდე.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 15 იანვარი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი — ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2014 წლის 24 დეკემბერი, №292
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დონე[5]	მერვე
8	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
10	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული
11	კვალიფიკაციის კოდი[7]	0919
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
14	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის I კორპუსი,
15	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 15 იანვარი
16	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა - 6 თვე (2020 წლის 16 ივლისამდე)
17	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2027 წლის 15 იანვარი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი